



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია



KA000038717938217

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 1443-ს

15 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 85-ე და 86¹ მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის №1321-ს ბრძანებით დამტკიცებული ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“).
2. დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა, დანართის თანახმად.
3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 13 ნოემბრის №1321-ს ბრძანების შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 დეკემბრის №1647 ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო
ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა**

1. **ზონდო აბაშიძე**–რეგისტრირებული კოოპერატივის „მუხურის ფუტკარი“ გამგეობის თავმჯდომარე;
2. **მაია გოგუა**–არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ჩხოროწყუს წარმომადგენელი;
3. **მზექლა ქომეთიანი** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თანადგომა სრულფასოვნებისათვის“ თავმჯდომარე;
4. **რევაზ ქებურია**- სააქციო საზოგადოება „იმედის“ დირექტორი;
5. **თემურ წურწუშია**–შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საბა-2002“-ის დირექტორი;
6. **ნუგზარ ჟვანია**–მცხოვრები მისამართზე: სოფელი ხაბუმე, 37–ე ქუჩა #134;
7. **გურამ თოდუა**– მცხოვრები მისამართზე: დაბა ჩხოროწყუ, კ. გამსახურდიას ქ.#63;
8. **ირმა მალანია**- მცხოვრები მისამართზე: სოფელი ქვედა ჩხოროწყუ, მე–16 ქ. I ჩიხი, #1;
9. **ნონა კრილოვა**- მცხოვრები მისამართზე: დ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის II შეს. N 18;
10. **ხათუნა მიქავა**- მცხოვრები მისამართზე: ჩხოროწყუ, ს. ხაბუმე 50-ე ქ. N 28.